ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის

სხდომის ოქმი N 17

22.10. 2026 წ.

დ. ლენტეხი

მიმდინარე წლის 22 ოქტომბერს 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის რიგით N 17 სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები : კომისიის თავმჯდომარე ცირა ლიპარტელიანი; კომისიის წევრები: მალხაზ ბენდელიანი, ზურაბ ონიანი, დალი ტვილდიანი; მოწვეული სტუმარი ა(ა)ი.პ ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი ლამზირა გუგავა, სხდომის მდივანი ესმა მუკბანიანი.

კომისიის თავმჯდომარემ ცირა ლიპარტელიანმა კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი შემდეგი საკითხით:

1. ა (ა) ი.პ ბაგა-ბაღების გაერთიანების ანგარიში 2026 წლის 9 (ცხრა) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.
/ მომხსენებელი ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი ლამზირა გუგავა/

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

მოისმინეს: ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის ლამზირა გუგავას მიერ წარმოდგენილი ცხრა თვის ანგარიში, სადაც ნათქვამია, რომ ა.(ა).პ.ი. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შედის 14 საბავშვო ბაღი და ერთი ლენტეხის ბაგა-ბაღი. სულ ბაგა- ბაღებში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა შეადგენს 128, ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 98 ბავშვს. გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღები 2026 წელს დაფინანსდა 1555700 ლარით, აქედან სახელფასო ფონდი შეადგენს 1389660 ლარს, შეშა 17000 ლარს, წყალი 3800 ლარს, კატრიჯების თანხა 500 ლარს, ელექტრო ენერგიის 3400 ლარს, საკანცელარიო ხარჯი 4100 ლარს, ჰიგიენა და სხვა ხრჯები 9900 ლარს, ბინის ქირები 18000ლარს , სასმელი წყლის შემოწმება 2000 ლარს, საწვავი 1500 ლარს, ბავშვების კვების ხარჯი 79485 ლარს, ბუნებრიბი აირის ხარჯი 500 ლარს, ინტერნეტი 1100 ლარს, ტრენინგები 7355, კვების კართოტეკები და მენიუ შეძენა 5000 ლარს, ჰიგიენურ-სანიტარული სოპები დანერგვა 9900 ლარს, ტენდერების გამოცხადების ხარჯი 500 ლარს, მემორანდუმის ღირებულება 2000 ლარს.

ა.(ა)ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების სუბსიდია ცხრა თვის განმავლობაში გახარჯულია შემდეგნაირად : სახელფასო ხარჯი 1020391 ლარი, წყალი 2713 ლარი, კატრიჯების შეძენა 500 ლარი, ელექტროენერგის ხარჯი 2567ლარი, ჰიგიენა და სხვა ხარჯი 4000 ლარი, ბინის ქირები 9000 ლარი, წყლის ვარგისიანობის

შემოწმება 1950 ლარი, საწვავის ხარჯი 1497 ლარი, კვების ხარჯი 43213 ლარი, ინტერნეტი 708 ლარი, ტრენინგები 3900 ლარი, კვების კართოთეკების და მენიუს შეძენა 5000 ლარი, ტენდერების დადების ხარჯი 475 ლარი. სულ სუბსიდიის 74,45%.

მიმდინარე წლის ცხრა თვის განმავლობაში, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების, სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში ჩატარდა გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიებები, კერძოდ: დედის დღისადმი მიძღვნილი აქტივობა, დედამიწის დღისადმი მიძღვნილი აქტივობა, ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი აქტივობა, სასკოლო ასკის ბავშვთა გაცილების აქტივობა და საშემოდგომო აქტივობა ყველა საბავშვო ბაღში.

ა.(ა)ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ყველა საბავშვო ბაღის თანამშრომლები გადამზადდენ პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე .

გაერთიანების ხელმძღვანელობის მიერ 4-ჯერ შემოწმებულ იქნა, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა საბავშვო ბაღი.

1. გაერთიანების ყველა საბავშვო ბაღი საჭიროებს კაპიტალურ რემონტს, ოთახები არასრულია , სასადილო და საძინებელი არ არის საჭიროებისამებრ დაყოფილი.
2. ყველა საბავშვო ბაღი საჭიროებს ახალი ავეჯისა და სახელმძღვანელოების შეძენას.
3. საბავშვო ბაღებში არ შეიძლება გამოიყენონ ალუმინისაგან დამზადებული ინვენტარი, რომელიც მიჩნეულია მეორე კლასიფიკაციის საშიშროების ელემენტად და დაუშვებელია საკვების მოსამზადებლად. (ყველა საბავშვო ბაღში საჭიროა სამზარეულოს ინვენტარის და ჭურჭლის შეძენას, რაც წლებია არ შეგვიძენია)
4. ზემოთ ჩამოთვლილი ბაღებიდან არცერთ ბაღში არარის ეზოები, სათანადო სათამაშო მოედნები და კუთხეები.
5. შესაბამისი პირობების არ არსებობის გამო ვერ ხდება სურსათის ტემპერატურის რეჟიმის დაცვა, რეცხვა-დეზიმფიცირება. (ჰასპის დანერგვა).
6. გაერთიანების ყველა საბავშვო ბაღში საჭიროა, სამზარეულოებისა და საპირფრეშოების მოწყობა სტანდარტების შესაბამისად

მოგახსენებთ, რომ ა.(ა)ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში გაერთიანებული 15 საბაშვო ბაღი საჭიროებს მეთოდური მუშაობისათვის საჭირო მასალებს (მზაობის ჯგუფებისავის შესაბამის სახელმძღვანელოებს, ფერად ფურცლებს, ფანქრებს საძერწებს და სხვა საშუალებებს). წლებია ეს მასალა არ შეძენილა საბავშვო ბაღებისათვის თანხების არ არსებობის გამო. ახლად დანერგილი სტანდარტების შესაბამისად საბავშვო ბაღებს, აუცილებლად

სჭირდება ზემოთაღნიშნული სამუშაო საშუალებები ყველა აღსაზრდელს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, განსაკუთრებით კი მზაობის ჯგუფებს.

სახანძრო სამსახურის მიერ (უსაფრთხოების დაცვის მიზნით) ყველა ბაღი დავალდებულებული იქნა ხანძარსაწინააღმდეგო საშუალების ცეცხლჩამქრობის შეძენისა და შესაბამისი სტენდის მოწყობაზე. თანხების უქონლობის გამო ვერ მოხერხდა შესაბამისი საშუალებების შეძენა.

ამჟამად ა.(ა) ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ოთხი საბავშვო ბაღი, კერძოდ: ლენტეხის ბაგა-ბაღი, ხელედის, საყდრის და ხოფურის საბავშვო ბაღები გადიან ავტორიზაციას, ავტორიზაციის პირობების დასაკმაყოფილებლად მოცემული გვაქვს 12 თვიანი და 24 თვიანი ციკლები სტანდარტების შესაბამისად შენიბა-ნაგებობების, მდგრადობის დოკუმენტების, ავეჯისა და სამზარეულს ინვენტარის, ეზოების და სათამაშო კუთხეების და მეთოდური სამუშაო მასალების შესაძენად. გაერთიანებამ შეიტანა ცვლილება საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში, კვების მენიუსა და კართოთეკებისა და სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დანერგვის მიზნით, სხვა დანარჩენი პრობლემების მოსაგვარებლად გაერთიანებას არა აქვს შესაბამისი ფინასები. ლენტეხის საბავშვო ბაგა-ბაღი ამჟამად გადის ავტორიზაციას, გაერთიანების მიერ ქვეიჯარით დაქირავებილ ფართში, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სკოლანდელი სააღმზრდელო დაწესებულებისათვის საჭირო ვერც ერთ სტანდარტს.

საბავშვო ბაღებში მუშაობის წარმართვა ხდება განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად. გაერთიანებაში შემავალ არც ერთ საბავშვო ბაღში ცხრა თვის განმავლობაში, არ ჰქონია ადგილი ბავშვების რაიმე სახის დაზიანებას. იმსჯელეს: კითხვა დაუსვა კომისიის წევრმა ზური ონიანმა, თუ რა მდგომარეობაშია დღეისდღეობით სოფლის ბაგა-ბაღებში შენობების მდგომარეობის მხრივ? ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორმა ლამზირა გუგავამ უპასუხა, რომ არის სოფლები სადაც ბაგა-ბაღის შენობები არ ვარგა, ავეჯი არ გვაქვს, ფაქტიურად უვარგისია, სამზარეულო არ არის, საკანალიზაციო სისტემა არ არსებობს, სტანდარტებს არ შეესაბამება. იმისთვის, რომ შენობები მოწესრიგდეს გვჭირდება ხელისუფლების თანადგომა. კვალიფიკაციის პრობლემებიც არსებობს, ხოლო რაც შეეხება კვებას, მენიუ შეისყიდეს და კვება არის საუკეთესო.

გადაწყვიტეს: ა (ა) ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების 9 (ცხრა) თვის ანგარიში განსახილველად გატანილ იქნას ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის

სხდომის თავმჯდომარე: /ც. ლიპარტელიანი/